



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 103
18/08/2017

103-03-4-201708181557



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თამარ კილურაძისათვის, ნაკისრი მოვალეობებისაგან განთავისუფლების გარეშე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში დაკისრების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. 2017 წლის 21 აგვისტოდან - 15 სექტემბრის ჩათვლით თამარ კილურაძეს ნაკისრი ვალდებულებებისგან განთავისუფლების გარეშე დაეკისროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მოვალეობების შესრულება.

მუხლი 2. ამ ბრძანების შესაბამისად, თამარ კილურაძეს კუთვნილი ხელფასის გარდა დამატებით მიეცეს ანაზღაურება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა